პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 28

20 13 წ. "31" 10

ქ.თბილისი

შპს მრავალპროფილიან პროფესიულ სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს მრავალპროფილიან პროფესიულ სასწავლო ცენტრ იმედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206156817) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.
2. შპს - მრავალპროფილიან პროფესიულ სასწავლო ცენტრ იმედს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 31 ოქტომბრის №4 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ხათუნა ჩხაიძე

მდივანი
ლალი ღოღელიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
2	კბილის ტექნიკოსი	მეოთხე	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	30
3	კბილის ტექნიკოსი	მეხუთე	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	30
4	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	90
5	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
6	მასაჟისტი	მეოთხე	მასაჟისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	45
7	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. /ბუღალტერ მოანგარიშე.	60
8	ბუღალტერი	მეოთხე	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. /ბუღალტერ ტექნიკოსი	45
9	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მესამე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
10	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მეოთხე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
11	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მეხუთე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
12	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მესამე	საბაჟო წარმომადგენელის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60

13	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მეოთხე	საბაჟო წარმომადგენელის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60